პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფიზიკური კულტურა და სპორტი

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ДЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

23 მაისი

სამშაბათი,

1961 წ.

№ 64 (1700)

გამოცემის მე-17 წელი

ფასი 3 კაპ.

ი. ფუნიკოვი —

საკავშირო რეკორდის ავტორი

მოსკოვი. (ჩვენი სპეც. კორ.). ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის საწყლოსნო აუზში მოეწყო სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის უძლიერეს მოცურავეთა მატჩი. როგორც ცნობილია, ამ ქვეყნების ნაკრები გუნდების გასული წლის შეხვედრა, რომელიც ბლეკპულში გაიმართა, მასპინძლების გამარჯვებით დამთავრდა. მას შემდეგ ინგლისელი სპორტსმენები წარმატებით გამოვიდნენ რომის ოლიმპიურ თამაშებში, სადაც გაუსწრეს იაპონიას და დაიკავეს მე-3 საპრიზო ადგილი.

მოსკოვის მატჩი დაიწყო ქალთა გამოსვლით თავისუფალი სტილით 100 მეტრზე ცურვაში. აქ გამარჯვება მოიპოვა ინგლისელმა დ. უილკინსონმა — 1 წუთი და 6 წამი. უფრო საინტერესო გამოდგა ვაუთა შეჯიბრება, სადაც სტუმართა მხრიდან გამოდიოდა რომის ოლიმპიური თამაშების მონაწილე, დიდი ბრიტანეთის ჩემპიონი ს. კლარკი. ფინიშამდე 25 მეტრი იყო დარჩენილი, როცა მას წამოეწია და გაუსწრო კიდეც ახალგაზრდა საბჭოთა სპორტსმენმა ვ. კონოპლიოვმა. იგი პირველი იყო ფინიშთან შედეგით — 56,7.

კვლავ წარმატება მოიპოვა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა ი. ფუნიკოვმა, რომელმაც ბრასის სტილით 200 მეტრზე ცურვაში არა მარტო მოიპოვა პირველი ადგილი, არამედ დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი — 2.37,8. ახალი საკავშირო რეკორდის დამყარებით აღინიშნა საბჭოთა მოცურავეთა გამოსვლა კომბინირებულ ესტაფეტაში 4×100. გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ლ. კოლესნიკოვი, გ. კისელიოვი, ვ. სიიმარი და ვ. პოლევოი, მანძილი დაფარა 4 წუთსა და 14 წამში. ეს შედეგი ევროპის რეკორდის გამეორებაა. ქალთა შორის ცურვის ამ სახეობაში გაიმარჯვეს სტუმრებმა — 4.56,4.

ქალებში ბრასის სტილით 200 მეტრზე ცურვაში მოსალოდნელი იყო რომის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონისა და მსოფლიო რეკორდსმენის ა. ლონსბროს გამარჯვება, რომელმაც მსოფლიო რეკორდი დაამყარა ოლიმპიურ თამაშებზე — 2.49,5. მაგრამ ჩემპიონმა ამჯერად პირველი ადგილი დაუთმო თავისივე გუნდის წარმომადგენელს ა. ტერნბულს — 2.56,7.

შეჯიბრების მეორე დღეს, საბჭოთა სპორტსმენმა გ. ანდროსოვმა 1500 მეტრზე ცურვაში დაიკავა პირველი ადგილი და დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი — 18.12,2. ასევე ახალი რეკორდის მფლობელი გახდა ვ. კუზმინი ბატერფლაის სტილით 200 მეტრზე ცურვაში — 2.17,3.

მატჩის ბედი უნდა გადაწყვეტა შეჯიბრების ბოლანასკნელ სახეობას —თავისუფალი სტილით 4×100 ესტაფეტას. იგი მოიგეს ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებმა და საერთო ჩათვლაში გამარჯვება მოუტანეს თავიანთ გუნდს — 93:92.

* * *

სურათზე: სსრ კავშირის რეკორდსმენი ი. ფუნიკოვი დისტანციაზე.



სურათზე: უნგრეთისა და საქართველოს ხელბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრის ერთი მომენტი სპორტის სასახლეში.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ანგარიშია 31,5:28,5

დამთავრდა საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდების ტრადიციული მატჩი. გასული წლებისაგან განსხვავებით, როდესაც საბჭოთა მოჭადრაკეები იოლად იგებდნენ შეხვედრებს, ამჯერად ისინი შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდნენ. ეს იმითაც უნდა აიხსნას, რომ ამჯერად საბჭოთა კავშირის გუნდი გამოდიოდა შესუსტებული შემადგენლობით.

შეჯიბრება ჩატარდა ექვს წრედ. იუგოსლავიის გუნდში კარგად ითამაშეს ქალებმა და ჭაბუკებმა, განსაკუთრებით კი 18 წლის ჰარმამ.

მატჩის საბოლოო ანგარიშია 31,5:28,5 საბჭოთა მოჭადრაკეთა სასარგებლოდ.

0,6 წამი 50 წლის განმავლობაში

მას შემდეგ რაც 1912 წელს ამერიკელმა დ. ლიბენკოტმა 100 მ რბენაში აჩვენა 10,6 წამი და დაამყარა მსოფლიო რეკორდი, 50 წელმა განვლო, რეკორდი კი სულ რაღაც 0,6 წამით გაუმჯობესდა. ლიბენკოტის მაჩვენებელი 9 წელიწადი იყო უცვლელად, ვიდრე მისმა თანამემამულემ ჩ. ბადოკმა მის შედეგს ერთბაშად 0,2 წამი არ „ჩამოაშორა“. კიდევ 9 წელი დაჭირდა ახალი მსოფლიო რეკორდის დამყარებას, მაგრამ ამჯერად მისი მფლობელი გახდა კანადელი პ. უილიამი— 10,3 და ბოლოს ჯ. ოუენსმა მსოფლიო რეკორდი 1936 წელს ისევ ამერიკის შეერთებულ შტატებს დაუბრუნა, როცა აჩვენა 10,2 წამი.

100 მეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდსმენთა შორის ყველაზე ოღბლიანი ოუენსი აღმოჩნდა, რადგან მისი შედეგი მთელი 20 წლის განმავლობაში იყო ხელუხლებლად და მხოლოდ 1956 წელს ისევ ამერიკელი ვ. უილიამსი მიუახლოვდა 10-წამიან ზღვარს—აჩვენა 10,1 წამი. ამით დამთავრდა ამერიკელთა ჰეგემონია. ოთხი წლის მერე მსოფლიო რეკორდმა „გადაცურა“ ატლანტიის ოკეანე და ევროპაში გადმოინაცვლა, როცა ა. ჰარიმ (გფრ) 100 მ 10 წამში გაირბინა.

ქართველი მოჭადრაკეები რუმინეთში

რუმინელ მოჭადრაკეებთან ამხანაგური საერთაშორისო მატჩის ჩასატარებლად გუშინ ბუქარესტში გაემგზავრა საქართველოს მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდი, რომლის შემადგენლობაში არიან ოსტატები ბ. გურგენიძე, ა. ბუსლაევი, მ. შიშოვი, ოსტატობის კანდიდატი თ. გიორგაძე, პირველთანრიგოსანი რ. ჯინჯიხაშვილი, ოსტატები ნ. გაფრინდაშვილი, მ. ტოგონიძე, პირველთანრიგოსნები ა. ჩაიკოვსკაია და ე. კაკაბაძე. სპორტულ დელეგაციას ხელმძღვანელობს საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე თ. მანაგაძე. გუნდის მწვრთნელია საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. ჭარსელაძე.

როგორც ცნობილია, გასულ წელს თბილისში ერთმანეთს შეხვდნენ რუმინეთისა და საქართველოს მოჭადრაკეები. მაშინ ორთაბრძოლა დამთავრდა საქართველოს ნაკრების გამარჯვებით — 18:14.

ნაკრები კვლავ დამარცხდა

18 ივნისს სსრ კავშირის ფეხბურთელებს პირველი შესარჩევი მატჩი აქვთ მსოფლიო პირველობაზე. მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახ. სტადიონზე შედგება მათი შეხვედრა თურქეთის ნაკრებთან.

ამ მატჩისათვის მზადების ერთერთ სერიოზულ ეტაპს წარმოადგენდა სსრ კავშირის გუნდის შეხვედრა პოლონეთის ნაკრებთან, რომელიც 21 მაისს შედგა ვარშავაში.

საბჭოთა გუნდმა, რომელიც გამოდიოდა შემდეგი შემადგენლობით: იაშინი; მედაკინი, ნეტო, ჩოხელი; ვორონინი, მანოშინი; მეტრეველი, ივანოვი, ლობანოვსკი (კრასნიცკი), ბუბუკინი, მუსხი, კვლავ ვერ აჩვენა შეთანხმებული, დამაკმაყოფილებელი თამაში და განიცადა დამარცხება ანგარიშით 0:1.

ეს ერთადერთი გოლი გაიტანა პოლონელთა მარცხენა გარემარბმა პოლმა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით.

მიიღეს საბჭოთა წინადადება

მოტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის (ფიმ) მორიგი კონგრესის მონაწილენი იტალიის ქალაქ სანტა-მარგარიტაში შეიკრიბნენ. აქ თავი მოიყარა 24 ქვეყნის წარმომადგენელმა, რომლებმაც განიხილეს მოტოსპორტში მორიგ შეჯიბრებათა ჩატარების საკითხები. მიმდინარე წელს 6-დღიანი შეჯიბრების ჩატარება ინგლისის კავშირს დაევალა და იგი 2-8 ოქტომბერს გაიმართება უელსში. ეს შეჯიბრება საგრძნობლად განსხვავდება ყველა ადრინდელ შეჯიბრებისაგან, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მოტოციკლების მოძრაობა იწარმოებს მარცხენა მხარეს. ამასთან შეჯიბრების პროგრამას დაემატა დიდი რაოდენობით სპეციალური გამოცდები.

ის სპორტსმენი, რომელიც ერთი წუთის განმავლობაში ვერ შეძლებს ძრავის ამუშავებას, კარგავს 20 შეღავათიან ქულას მთელი იმ შეღავათიან ქულათა ჯამიდან, რომლებიც მოაგროვა სპეციალურ გამოცდებზე.

შეჯიბრებაზე ოქროს მედალი მიეცემა იმ სპორტსმენს, რომელიც მოაგროვებს შეღავათიან ქულათა მაქსიმუმის 70 პროცენტს და შეჯიბრებას დაამთავრებს საჯარიმო ქულების გარეშე. ვერცხლის მედალს მიიღებს სპორტსმენი, რომელსაც ექნება შეღავათიან ქულათა მაქსიმუმის 50 პროცენტი და არა უმეტესი 25 საჯარიმო ქულისა, ბრინჯაოს სამახსოვრო მედალს კი — ყველა, ვინც დაამთავრებს შეჯიბრებას და ექნება თუნდაც ერთი შეღავათიანი ქულა.

შედგა სპორტული კომისიის სხდომაც, რომელმაც მიიღო იტალიის ფედერაციის წინადადება მიმდინარე წლიდან „ერების კროსში“ ჩაბმულ იქნას 250 კუბატურის მანქანები.

ფიმ-ის გასული წლის კონგრესზე საბჭოთა დელეგაციამ ქვეკომიტეტს განსახილველად წარუდგინა ყინულზე მოტორბოლის ჩატარების წესების პროექტი. ქვეკომიტეტის წევრებმა სურვილი გამოთქვეს შეესწავლათ საბჭოთა დელეგაციის პროექტი და საჭიროების შემთხვევაში საბოლოოდ დაემუშავებინათ იგი. ამ მიზნით მაშინ შეიქმნა სპეციალური კომისია საბჭოთა კავშირს, სკანდინავიის ქვეყნებისა და პოლონეთის ფედერაციების შემადგენლობით. სატრეკო რბოლების ქვეკომიტეტის სხდომაზე ყინულზე მოტორბოლის შესახებ კომისიის ანგარიშით გამოვიდა საბჭოთა კავშირის ცენტრალური ავტომოტოკლუბის დელეგაციის წარმომადგენელი. ქვეკომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ფიმ-ის სპორტული კომისიის წინაშე აღძრას შუამდგომლობა შემოდგომის კონგრესზე საბჭოთა წინადადების დამტკიცების შესახებ.

ᲙᲝᲛᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ

ᲩᲔᲛᲝ გიორგი, ზეგ ჩვენი ფეხბურთელები ახმეტელებს ხვდებიან, მსაჯად კი მე დაგინიშნავართ. უხერხულია. იქნება სხვა გამოძებნოთ—მიმართა ოთახში შემოსულმა შუახნის კაცმა ახმეტის სპორტკავშირის თავმჯდომარეს გიორგი ჭილიტაშვილს. ამ საუბრის დროს გაგვაცნო სოფელ არგოხის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ირაკლი თედეშვილი გ. ჭილიტაშვილმა.

ირაკლი თედეშვილი სპორტის ვეტერანია. ახლა იგი კოლმეურნეობას ხელმძღვანელობს, თუმცა არც სპორტულ მუშაობასთან არის უბრად. ჩვენ ადრეც გაგვეგონა, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარე დიდი გულისყურით ეკიდება თავის სოფელში ფიზკულტურული მუშაობის განვითარების საქმეს. მასთან გაცნობამ სოფელ არგოხში ჩაგვიყვანა. სანამ მანქანით სოფელს მივაღწევდით, ირაკლი თედეშვილის ძუნწად ნაუბარიდან ჩვენს უბის წიგნაკებში ბევრი რამ საინტერესო ჩავნიშნეთ.

ირაკლიმ 1940 წელს სოფელ წინამძღვრიანთ კარის სახოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი დაამთავრა. ტექნიკუმის ფეხბურთელთა გუნდში იგი ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელთაგანი იყო. ირაკლის ახლაც ახსოვს მრავალ გამარჯვებათა სიტკბო და დამარცხებათა სიმწარეც. ტექნიკუმის სპორტულ ცხოვრებაში აქტიურმა მონაწილეობამ შედეგი გამოიღო და ირაკლი თავის მშობლიურ სოფელ არგოხში ფიზკულტურულ კოლექტივის ხელმძღვანელად აირჩიეს. აქ ამავე დროს აგროტექნიკოსად მუშაობდა. ორივე საქმეს ირაკლი ერთნაირი გულისყურითა და მონდომებით ეკიდებოდა. 1940-1941 წლებში ირაკლიმ თბილისში მსაჯთა და მწვრთნელთა რესპუბლიკური კურსები გაიარა. ამ წლებიდან ახმეტის რაიონის ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის სოფელ არგოხის კოლექტივი ყოველთვის მიღწევებით გამოირჩეოდა. არგოხელთა ფიზკულტურული კოლექტივი წლითიწლობით იზრდებოდა, მტკიცდებოდა და ახალ-ახალ გამარჯვებებს იპოვებდა.

1941 წელს სოფელ არგოხიდან საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე წარდგენილი იყო 25 სპორტსმენი-კოლმეურნე. არგოხელები ამ დროს კომანდორული გადარბენისათვის ემზადებოდნენ. მარშრუტიც შერჩეული ჰქონდათ: არგოხი-თელავი-თიანეთი-დუშეთი-გორი-სტალინირი-თბილისი. ირაკლი თბილისში ჩავიდა. გადარბენის მონაწილეებისათვის სპორტული ფორმა უნდა შეეძინა. 1941 წლის 22 ივნისმა ამ ღონისძიების ჩატარება შეუძლებელი გახადა. ირაკლი და მისი თანატოლები იარაღით ხელში სამშობლოს დასაცავად წავიდნენ. თავის სამხედრო ნაწილთან ერთად ირაკლიმ ომის სიმძიმე ვაუკაცურად გადაიტანა. ირაკლი არც ერთხელ არ გამხდარა ავად. იოლად სძლევდა მძიმედ გასავლელ ვეებერთელა მარშრუტებს. ამაში ისიც დაეხმარა, რომ წინამძღვრიანთ კარიდან თავის მშობლიურ სოფელ არგოხამდე, მას არა ერთი ათეული კილომეტრი გაუვლია ქვეითად. ომი ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო, რომ დაჭრილი მეომარი მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა. მას შემდეგ ნაომარი ირაკლი თედეშვილი სხვადასხვა თანამდებობებზე ჩვეული ენერგიითა და თავდადებით მუშაობდა. არც სპორტს ივიწყებდა, მუდამ ახალგაზრდა სპორტსმენებს შორის იყო და ხელს უწყობდა სოფლად ფიზკულტურული მუშაობის განვითარებას. უკვე კარგახანია, რაც ირაკლი თედეშვილი მშობლიური სოფლის — არგოხის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა. ერთი მოგონებაც: 1939 წელს მაშინ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდებმა და ამჟამად ვეტექიმმა აბრამ თედეშვილმა, ავტოინჟინერმა თედო კაბისაშვილმა, კოლმეურნეებმა კიაზო ჯაბიშვილმა, დათა თედეშვილმა, შალვა კაბისაშვილმა, მე და კიდევ სხვა ახალგაზრდებმა გადავწყვიტეთ თამბაქოს წევისათვის თავი მიგვენებინა. ჩვენი გადაწყვეტილება არგოხელთა დიდმა უმრავლესობამ მოგვიწონა, და აი ახლაც კი, როცა ჩვენი სოფლის მოსახლეობა უკვე 902 სულს ითვლის, ორიოდე ათეული თუ ეწევა თამბაქოს. თუმცა ისინიც უწევენ ანგარიშს სოფლის ამ გადაწყვეტილებას და ცუდ მაგალითს არიდებენ ახალგაზრდობას.— გვეუბნება ირაკლი თედეშვილი.

ᲡᲐᲛᲐᲡᲝᲒᲐᲨᲘ სოფელი არგოხიც გამოჩნდა. იგი მთის ფერდობის ძირსაა გადაშლილი. ირაკლიმ მანქანა სოფლის სტადიონისაკენ გააქანა. არგოხელებს კარგი სტადიონი მოუწყვიათ, იქვე ახლოს შესანიშნავი საჭიდაო მოედანი გადაშლილა, აქვთ მძლეოსნობისათვის განკუთვნილი სექტორებიც. მწვანე მინდორზე არგოხის ფეხბურთელთა გუნდის „მაჭარეულის“ წევრები გამოსულიყვნენ სავარჯიშოდ. ბურთები გვეარდზე ეყარა, ფეხბურთელები კი ერთ ახალგაზრდას შემოხვეოდნენ და რაღაცას ულოცავდნენ. იქიდან აღტაცების გამომხატველი ხმები მოისმოდა. ფეხბურთელთა შორის სახეგაბრწყინებული ახალგაზრდა კაცი იდგა. იგი არგოხის ფიზკულტურული კოლექტივის თავმჯდომარე — დიმიტრი ჯაბიშვილი აღმოჩნდა. გავიცანით... თავს რაღაც უხერხულად გრძნობდა, ეღიმებოდა, ცმუკავდა... ეტყობოდა, რომ რაღაც დიდ სიხარულს განიცდიდა. ბოლოს მისი სიხარულის მიზეზიც გაირკვა. ახლად დაბადებული მისი ვაჟის სახით სოფელ არგოხის მოსახლეობას 903-ე სული შეემატა.

...ფეხბურთელებმა ვარჯიში განაგრძეს, საჭიდაო მოედანზე კი პატარა ბიჭუნები ეძიძგილავებოდნენ ერთმანეთს...

ᲐᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ 17 მეტრი სიგრძის აღმართთულმა ლატანმა მიიპყრო ჩვენი ყურადღება. ყოველ 15 ოქტომბერს არგოხელები თურმე „მოსავლის აღების“ დღესასწაულს აწყობენ. ეს დღე შრომაში მიღწეული გამარჯვებების, სიმღერის, ცეკვისა და სპორტის დღესასწაულია ხოლმე. სწორედ ამ დღეს სხვა შეჯიბრებათა გარდა 17-მეტრიან ლატანზე ცოცვაშიც ატარებენ შეჯიბრებას. შარშან ლატანზე გამარჯვებულისათვის განკუთვნილი ჯილდო, რომელიც ლატანის ბოლოზეა ხოლმე დამაგრებული, მე-6 კლასელმა მოსწავლემ ავქსენტი თედეშვილმა მოიპოვა.

არგოხელი ფიზკულტურელები სპორტის მრავალ სახეობებში ვარჯიშობენ: ფეხბურთში, ფრენბურთში, ჭიდაობაში, მძლეოსნობაში, ტანვარჯიშში, ჭადრაკში,.. მათი მწვრთნელები თვით არგოხელები არიან, რომლებიც გუნდებსაც წვრთნიან და თვითონაც მონაწილეობენ შეჯიბრებებში. აი ისინიც, გაიცანით: ზ. მაკაროვი, ზ. კაბისაშვილი, ფრ. თედეშვილი, ი. ზასეშვილი,.. არგოხელ ფიზკულტურელებს მრავალი მიღწევები აქვთ და თითქმის რაიონის ყველა შეჯიბრებაში იღებენ მონაწილეობას. მათ სარაიონო პირველობებზე მრავალჯერ აქვთ მოპოვებული ჩემპიონობა და საპრიზო ადგილები. ბევრი მათგანი შედის რაიონის ნაკრებ გუნდებში. არგოხელ ფეხბურთელებს დიდი მეგობრობა და მიმოწერა ჰქონდათ სპორტის დამსახურებულ ოსტატთან — ვ. მარღანიასთან. ვ. მარღანია სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე ეხმარებოდა მათ თავისი რჩევა-დარიგებებით. ამიტომ არის, რომ დიდი სიყვარულით იხსენებენ არგოხელები ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო მეკარეს. კარგი შედეგები აქვთ სპორტის სხვადასხვა სახეობაში: ყუმბარის ტყორცნაში—შ. კაბისაშვილს, ხროლაში — ე. ჯაბიშვილს, ვ. თედეშვილს. ფრენბურთელი ფ. თედეშვილი რაიონის ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია. სპორტსმენი გოგონები: ფრენბურთელები — ზ. და ი. თედეშვილები, მოკლე დისტანციებზე მორბენლები — ს. ჯაბიშვილი და თ. მელაძე რაიონის საუკეთესო სპორტსმენი ქალები არიან. არგოხის ფიზკულტურულ კოლექტივში 35 ქალი სისტემატურ სპორტულ წვრთნას გადის...

ᲐᲠᲒᲝᲮᲔᲚᲘ სპორტსმენების უმრავლესობამ სიმინდის მაღალი მოსავლის აღების ვალდებულებები აიღო. ფეხბურთელებმა — ი. თედეშვილმა, ი. ზ. ვალიშვილმა, ფრენბურთელებმა — ე. ვალიშვილმა, რ. ჯაბიშვილმა, ა. მელაძემ, მონადირემ — ა. ჯაბიშვილმა და სხვებმა ვალდებულება აიღეს 1961 წელს 1 ჰექტარზე 60 ცენტნერი სიმინდის მოსავალი მიიღონ.

შრომის გარეშე და შრომაში მიღწევების გარეშე ჩვენთან ფიზკულტურული მუშაობა თვით მიზანი იქნებოდა — გვეუბნება არგოხის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. თედეშვილი. სწორია ირაკლი. უშრომელად დასვენება და წრთობა ხომ უქნარების საქმეა. არგოხელი ახალგაზრდები შრომაში მოწიფენი არიან. ამიტომ უდგას მხარში კოლმეურნეობის თავმჯდომარე არგოხელ ფიზკულტურელებს. იგი ნიადაგ მათთან ტრიალებს საკოლმეურნეო მინდვრებზე თუ სპორტულ მოედნებზე. სპორტული წრთობა შრომაში გამარჯვებებთან ერთად! აი, არგოხელების ლოზუნგი. სწორედ ამიტომ დაიწყეს მათ საცურაო აუზის მშენებლობა. აუზის ბაზაზე შეიქმნება დიდი სანერგე და მასთან ერთად ცურვის სექციებიც. ასე გონივრულად გადაწყვიტეს მათ ახალგაზრდების სწავლების საქმე. თითქმის ყოველ წელიწადს არგოხელი ახალგაზრდები სასწავლებლად მიდიან დიდი ჭიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში... იქ ხომ ყველა პირობაა შექმნილი ნაყოფიერი შრომისა და სწავლისათვის, დიდია ტრადიციები სპორტული დოსტატებისათვის. ახლა ამ ტექნიკუმში 7 არგოხელი ახალგაზრდა სწავლობს. აი ზოგიერთი მათგანი: ე. თედეშვილი (ძალოსანი), ა. ვალიშვილი (ფეხბურთელი), ირაკლი თედეშვილის შვილები ე. და ნ. თედეშვილები (მძლეოსანი, ფეხბურთელი) და სხვ.

ᲐᲠᲒᲝᲮᲨᲘ გასული საუკუნის ბოლოს დასახლებულან. მას შემდეგ აქ მხოლოდ ერთხელ ყოფილა სეტყვა. ამიტომ ჰქვიაო ჩვენს სოფელს არგოხი (არკოხი) ამბობენ ამ ადგილების მკვიდრნი. მართლაც, სეტყვა და თქეში რა სანატრელია. არგოხელებს ხომ შრომაში ახალ-ახალი გამარჯვებები და სპორტში წრთობის ხალისი ავსებთ.

Ჯ. ᲔᲜᲣᲥᲘᲫᲔ,
Გ. ᲡᲐᲛᲡᲝᲜᲐᲫᲔ.

როცა უფროსები საკოლმეურნეო მინდვრებზე არიან სამუშაოდ გასული, უმცროსები გამოდიან საჭიდაო სარბიელზე. სალამოობით კი მათ ადგილს სოფლის რჩეული მოჭიდავეები იკავებენ.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. თედეშვილი (შუაში) მომავლის გეგმებს აცნობს არგოხში სტუმრად ჩასულ ახმეტის სპორტკავშირის თავმჯდომარეს გ. ჭილიტაშვილს (მარცხნივ) და „კოლმეურნის“ რაისაბჭოს თავმჯდომარეს თ. ნარუსლიშვილს.

ᲚᲔᲚᲝ
ᲫᲔ-2 ᲒᲕ. № 64 (1700)

მეტი ყურადღება

ღირსეულად შეცვლის რომელიმე გამოჩენილ წინამორბედს უფროსი თაობიდან. აქედან სათანადო დასკვნაც უნდა გაკეთდეს: აღნიშნული გარემოება უთუოდ ჭაბუკებთან მომუშავე მწვრთნელების ნაკლებ ენთუზიაზმზე, ნიჭიერი კადრების ძებნაში ნაკლებ მონდომებაზე მეტყველებს.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ პირველობის ერთი ხარვეზი: „ბურევესტნიკის“ დარბაზში შეკრებილმა მაყურებელმა ისე დატოვა შეჯიბრება, რომ ვერ შეიტყო ვინ გამოვიდა გუნდებს შორის გამარჯვებული (?!). გუნდური შეჯიბრების შედეგები შეუჯამებელი დარჩა მსაჯთა კურიოზული დაუდევრობის გამო.

პირად ჩათვლაში მონაწილეობდა 61 მოჭიდავე. მონაწილეთა განსაკუთრებით დიდი რაოდენობა შეიკრიბა ქვემსუბუქ, მსუბუქ, ქვესაშუალო და საშუალო წონით კატეგორიებში. ამიტომ ამ წონებში შეჯიბრება ჩატარდა ნახევრადოლიმპიური სისტემით; ორი წაგების შემდეგ მოჭიდავე წყვეტდა ასპარეზობას, დანარჩენ წონებში ბრძოლა წრიული სისტემით მიმდინარეობდა.

ორთაბრძოლებში ჭაბუკმა მოჭიდავეებმა ვერ გამოავლინეს მრავალმხრივი ტექნიკა. ამიტომ, ამ ბრძოლების დიდი ნაწილი ძალიან ჰგავდა ერთმანეთს. აქ უმეტესად ჭარბობდა ძალისმიერი ბრძოლა (რომელიც ხშირად ძიძგილაობაში გადადიოდა) და მეტად შეზღუდული ტექნიკური არსენალი — ძირითადად მოგვერდი, რომელიც უფრო ხელმისაწვდომია დამწყები მოჭიდავეებისათვის.

მაგრამ, გამონაკლისი აქაც იყო. საინტერესო, ფიცხელ ბრძოლაში ჩატარდა მაგალითად, ჭინჭარაძე-ტაბლაშვილის, ჭინჭარაძე-დემეტრაშვილის, კაპანაძე-ჩიგოევის, ხაბულიანი-კაპანაძის, წამალაშვილი-ბეჟიტაშვილისა და სხვების შეხვედრები; აღნიშნული მოჭიდავეები, აგრეთვე დ. ბესტაევი და ო. კეკერაშვილი აშკარად გამოირჩეოდნენ სხვებისაგან თავიანთი კლასითა და კარგი მონაცემებით.

მოგვყავს პირადი პირველობის ტექნიკური შედეგები:

უმჩატესი წონა: 1. გ. ბეინაშვილი („კოლმეურნე“), 2. კ. ნადირაძე („ლოკომოტივი“), 3. გ. ნაპარიშვილი („განთიადი“); **მჩატე წონა:** 1. დ. ბესტაევი („განთიადი“), 2. თ. აზმაიფარაშვილი („კოლმეურნე“), 3. დ. ბიწკინაშვილი („განთიადი“); **ქვემსუბუქი წონა:** 1. თ. წამალაშვილი („დინამო“), 2. გ. ბეჟიტაშვილი („განთიადი“), 3. ნ. ბეინაშვილი („კოლმეურნე“); **მსუბუქი წონა:** 1. ტ. ხადური („კოლმეურნე“), 2. ს. გუმაშვილი (განათლების სამინისტრო), 3. ბ. ჯიჯიაშვილი („დინამო“); **ქვესაშუალო წონა:** 1. ო. კეკერაშვილი (განათლების სამინისტრო), 2. ო. ჯახნიაშვილი („დინამო“), 3. ა. მაისურაძე („კოლმეურნე“); **საშუალო წონა:** 1. ბ. დემეტრაშვილი („განთიადი“), 2. ო. ჭინჭარაძე („კოლმეურნე“), 3. გ. გურწიშვილი („დინამო“); **ქვემძიმე წონა:** 1. თ. წოწინაშვილი („კოლმეურნე“), 2. ა. ცაბოლოვი („დინამო“), 3. გ. კობლიშვილი (განათლების სამინისტრო); **მძიმე წონა:** 1. თ. კაპანაძე („დინამო“), 2. ს. ჩიგოევი („კოლმეურნე“), 3. ა. ხაბულიანი (განათლების სამინისტრო).

შ. ჯუღელი

* * *

სურათებზე: საქართველოს ჩემპიონები ჭაბუკთა შორის (მარცხნიდან) — **გ. ბეინაშვილი, დ. ბესტაევი, თ. წამალაშვილი, ტ. ხადური, ო. კეკერაშვილი, ბ. დემეტრაშვილი, თ. წოწინაშვილი, თ. კაპანაძე,**

ფოტო **მ. ზარგარიანისა.**

ოსტატთა ცვლას

ვირას, „ბურევესტნიკის“ სპორტულ დარბაზში დამთავრდა ტრადიციის მიხედვით ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში — საქართველოს პირად-გუნდური პირველობა ჭაბუკთა შორის. ეს შეჯიბრებანი განსაკუთრებულ ინტერესს იმით იწვევენ, რომ აღიარებულ ფალავანთა შემცვლელი თაობის თავისებურ საბრძოლო დათვალიერებას წარმოადგენენ; და არა მხოლოდ ქართული ჭიდაობის ფალავნების, არამედ თავისუფალი ჭიდაობისა და სამბოს ოსტატთა მომავალი ცვლის დათვალიერებასაც.

როგორი იყო ამ თვალსაზრისით მიმდინარე წლის რესპუბლიკური პირველობა? სამწუხაროდ, არც თუ ისე მკაფიო და „უხვმოსავლიანი“. ჭაბუკ მონაწილეთა შორის შეიძლებოდა გამოგვეყო რამდენიმე მოჭიდავე, რომლებიც სხვებისაგან გამოირჩეოდნენ ან ფიზიკური მონაცემების მეოხებით, ან კიდევ სხვებზე მეტი აგრესიულობითა და რამდენიმე, უფრო სწორად, ერთი-ორი კარგად დასწავლილი ფანდით; მაგრამ მათში ჯერჯერობით არ ჩანს არცერთი ისეთი, რომელზეც დაბეჯითებით შეიძლებოდეს თქმა, რომ იგი უეჭველად შემორჩება დიდ ასპარეზს, რომ იგი

დაეთვა შეჯიბრების ალამი

საქართველოს მოფარიკაველთა პირად-გუნდური შეჯიბრების მეორე ნახევარი რაპირისტ ვაჟთა შეჯიბრებით დაიწყო.

ეს იარაღი ჩვენი სპორტსმენების ჯერ კიდევ სუსტ რგოლს წარმოადგენს. მოფარიკაველები დ. ბუგიანაშვილი, ნ. ძიძიკაშვილი და ნ. ფილიპოვი ფიზიკური მომზადებით არ ჩამოუვარდებიან რესპუბლიკის წამყვან სპორტსმენებს, მაგრამ ტექნიკური არსენალის სიღარიბის გამო საპრიზო ადგილებს თმობენ გამოცდილ სპორტსმენებთან შეხვედრებში.

ამ შეჯიბრებისათვის უკეთ იყვნენ მომზადებული ქუთაისელი მოფარიკაველები, რაც მწვრთნელების გ. ჩიქოვანისა და ჯ. კვანტალიანის ნაყოფიერ მუშაობას უნდა მიეწეროს. მათი აღზრდილებიდან თავი გამოიჩინა ა. ბობოხიძემ, რომელმაც მინიმალური ანგარიშით (5:4) დაამარცხა ერთ-ერთი უძლიერესი მოფარიკავე ი. ოსიპოვი. ამის შემდეგ მას გზა გაეხსნა პირველი ადგილისაკენ, მაგრამ მოულოდნელად „დამარცხდა“ გ. გიორგაძესთან.

ჩემპიონის გამოსავლენად დანიშნულ დამატებით ბრძოლებში ქუთაისელმა სპორტსმენებმა მონაწილეობა არ მიიღეს და პირველი ადგილი ი. ოსიპოვს მიეკუთვნა. მეორე ადგილზეა გ. გიორგაძე, მესამეზე — ა. ბობოხიძე.

უაღრესად დაძაბული ხასიათი მიიღო ამ იარაღით მებრძოლ ჭაბუკთა შეხვედრებმა. აქ ყურადღების ცენტრში იყვნენ ბერლინში გამართულ მოფარიკაველთა შეხვედრებში გამარჯვებული გ. ანდრიაძე, გ. ცანავა და გ. კუჭაიძე. მათ შორის გამართულ ბრძოლათა შედეგები თავისით მეტყველებენ ძალთა ტოლობაზე: გ. ანდრიაძემ მოუგო გ. ცანავას — 5:4, გ. კუჭაიძემ ასეთივე ანგარიშით დაამარცხა გ. ანდრიაძე, ხოლო გ. ცანავამ თავის მხრივ დამჯერებელი ანგარიშით გაიმარჯვა გ. კუჭაიძეზე — 5:2.

ანდრიაძესა და კუჭაიძეს 7-7 გამარჯვება აღმოაჩნდათ. დამატებითი ბრძოლის შედეგად ჩემპიონობა მოიპოვა პირველმა.

მოზრდილთა გუნდურ შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდა ქუთაისელ მოფარიკაველთა კოლექტივი (ა. ბობოხიძე, გ. გიორგაძე და ნ. ცეცხლაძე), რომელმაც ფინალში ერთნაირი ანგარიშით 5:4 დაამარცხა თბილისის პირველი და მეორე გუნდი, ანგარიშით 6:3 — სამხრეთ ოსეთის კოლექტივი და დაუმარცხებლად გავიდა პირველ ადგილზე. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ თბილისის I და II გუნდები.

ჭაბუკ მოფარიკაველთა შორის უძლიერესი იყო თბილისის პირველი გუნდი, რომელმაც „მშრალი“ ანგარიშით (4:0) დაამარცხა მეორე გუნდი და ანგარიშით — 3:1 მოუგო ქუთაისისა და აფხაზეთის გუნდებს. მეორე ადგილზეა თბილისის მეორე, მესამეზე—ქუთაისელები.

ჭაბუკთა სიმრავლე ესპადრონით ბრძოლის პოპულარობით აიხსნება, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით სპორტის ოსტატების გ. გოგელიას, ნ. ასათიანისა და მ. სახვაძის ჭაბუკობიდანვე წარმატებით გამოსვლას საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე. სწორედ მათთან შეხვედრებში დაოსტატდნენ ჩვენი ჭაბუკი ესპადრონისტები, რომლებიც ბევრად არ ჩამორჩებიან მოზრდილებს.

უდაოდ ქების ღირსია თბილისელი მ. ადეიშვილი, რომელმაც ჩემპიონობისაკენ მიმავალ გზაზე სამივე საფეხური დაუმარცხებლად განვლო და 17 შეხვედრის მოგებით დამსახურებულად მოიპოვა საქართველოს 1961 წლის ჩემპიონობა. მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა მ. ბახტაძემ. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს მომდევნო ადგილებზე გამოსულმა გ. ლორთქიფანიძემ და ი. კოვაჩევიჩმაც.

რაც შეეხება მოზრდილთა შეჯიბრებას, აქ ჩემპიონობის ბედი თავიდანვე გადაწყვეტილი იყო: პირველობის მუდმივ პრეტენდენტს საქგიპროშახტის ახალგაზრდა ინჟინერ მ. სახვაძეს თავისი ერთადერთი საშიში მეტოქე ნ. ასათიანი არა ყავდა (იგი იმყოფება მოსკოვში საწვრთნელ შეკრებაზე) და მან ყველა შეხვედრა თავის სასარგებლოდ დაამთავრა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ესპადრონისტთა გუნდურ შეჯიბრებაში ადვილად გაიმარჯვა თბილისის პირველმა გუნდმა. მეორე ადგილზეა თბილისის მეორე, მესამეზე — ქუთაისის გუნდი.

სურვილი გამოთქვა 50 ქვეყანამ

აგვისტოს ბოლო რიცხვებში სოფიაში გაიხსნება უნივერსიადა, რომელშიც მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 50 ქვეყანამ. დემოკრატიის ქვეყნების სტუდენტი სპორტსმენები უკვე კარგა ხანია ემზადებიან ამ საინტერესო შეჯიბრებისათვის. მაგრამ სულ სხვა სურათია იქ, სადაც კაპიტალი ბატონობს. მაგალითად, უნივერსიადის საორგანიზაციო კომიტეტის სახელზე ინგლისიდან მიღებული წერილის გაცნობით აშკარად დარწმუნდებით, თუ რა ძნელ პირობებში უხდებათ იქაურ ახალგაზრდებს სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებაში გამოსვლა. წერილიდან ჩანს, რომ ინგლისელი სტუდენტები ამჟამად აგროვებენ სახსრებს თავიანთი წარმომადგენლების სოფიაში გასამგზავრებლად.

ინგლისელმა სტუდენტებმა შეგროვილი ფულის ერთი ნაწილით უკვე დაქირავეს 36-ადგილიანი „ვიკინგის“ ტიპის თვითმფრინავი, რომელიც უნივერსიადაში მონაწილე სპორტსმენებს ინგლისიდან ბულგარეთში ჩაიყვანს.

ოლიმპიური ჭაბუკობისა და რეზერვებში

ბათუმი

ბათუმის საჭადრაკო-საშაშო კლუბში დამთავრდა აჭარის 1961 წლის პირველობა რუსულ შაშში. ტურნირში გაიმარჯვა ვ. ლევიჩევმა, რომელმაც 9,5 ქულით პირველად მოიპოვა აჭარის ჩემპიონის სახელი. II-III ადგილები 9-9 ქულით გაიყვეს ი. იაკობაშვილმა და ვ. გევორქიანმა.

* * *

ბათუმის ბავშვთა სპორტული სკოლის მოედანზე დამთავრდა ქალაქის პირველობა კალათბურთში სასკოლო გუნდებს შორის მოსწავლეთა XIII სპარტაკიადის პროგრამით.

პირველი ადგილი და სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს მე-8 სკოლის კალათბურთელებმა, მეორე ადგილზე გამოვიდნენ მე-3, ხოლო მესამეზე — მე-9 სკოლის სპორტსმენები.

ი. კუსიდი

△

ლენინგორი

ლენინგორში ამ დღეებში მოწყო მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საშუალო სკოლების ფიზკულტურის ხუთმა კოლექტივმა. სპარტაკიადის პროგრამაში იყო მძლეოსნობის 9 სახეობა. საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს ლენინგორის მოსწავლეებმა. მეორე ადგილზეა ს. ლაგვისის, ხოლო მესამეზე — იკოთის სკოლის გუნდი.

მოეწყო აგრეთვე ამხანაგური შეხვედრა ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ ლენინგორის, კასპისა და დუშეთის მოჭიდავეები. გამარჯვება მოიპოვეს ლენინგორელმა მოჭიდავეებმა.

ბ. მარგიევი

ლ ე ლ ო

მე-3 გვ. № 64 (1700)



კიშინიოველ ვ. მასლოვსკაიას არაერთხელ უსახელებია თავი მძლეოსანთა საკავშირო შეჯიბრებებში. მან თავისი სიძლიერე დაამტკიცა ამას წინათ ლესელიძეში გამართულ შეჯიბრებაზეც.

სურათზე: 100 მ. რბენის მონაწილენი ფინიშთან. წინაა ვ. მასლოვსკაია.

ფოტო ვ. სემიონოვისა.

საგზური გამარჯვეგისათვის

თბილისში, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა დედაქალაქის 13-14 წლიან მოსწავლეთა პირად-გუნდური შეჯიბრება მძლეოსნურ სამქიდში.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი მიეკუთვნა ლენინის სახელობის რაიონის სპორტსმენებს.

პირად პირველობაში გამარჯვებულები ვ. საფრანი (26 კომისრის რაიონი) და კ. ლოლაძე (ციროვის რაიონი) საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა დააჯილდოვა პიონერთა ბანაკ „არტეკის“ საგზურებით.

ი. ხაბეიშვილი

★

ეს სპორტული „ნადავლი“ ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ფიზკულტურულ კოლექტივს ეკუთვნის. ისინი შესამჩნევ ადგილასაა გამოფენილი.

ფოტო გ. თარალაშვილისა.



თავშეუკავებელ ხოტბას მხოლოდ ზიანი მოაქვს

ქართული სპორტული ლიტერატურის თაროს შეემატა კიდევ ერთი პატარა (დაახლოებით 4,5 ფორმა) წიგნი, რომელიც დაწერა მ. მოსაშვილმა შემდეგი სახელწოდებით — „ესტაფეტა გადაცემულია“. წიგნი წარმოადგენს ნარკვევების კრებულს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებზე.

ჩვენი საზოგადოებრიობა მაინცდამაინც განებივრებული არაა სპორტული ლიტერატურით და როგორც კი გამოჩნდება ხოლმე ახალი რამ წიგნი ან ბროშურა, წესად გვაქვს მიღებული ვთქვათ: გამოვიდა კიდევ ერთი წიგნი და უკვე-ეს ამბავი დიდად სასიამოვნო მოვლენაა.

თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ მ. მოსაშვილის წიგნს, იგი ძირითადში ამართლებს თავის დანიშნულებას, მაგრამ, ვფიქრობთ, არ შეავცდებით თუ ვიტყვით, რომ დროა დავიგიწყოთ ეს ძველისძველი ფორმულა „გამოვიდა, მაშ კარგია“ და თვითეული ახალი ნაწარმოები, იქნება ეს წიგნი, სპექტაკლი, კინოფილმი, ქანდაკება თუ ფერწერული ნაწარმოები, პირველ ყოვლისა, შეეფასოთ მისი სარგებლიანობის თვალსაზრისით და მის ავ-კარგიანობაზე ვილაპარაკოთ სწორედ ამ პოზიციებიდან.

ავტორის ენაზე, ცალკეული ნარკვევების კომპოზიციასა და წიგნის სხვა წმინდა ლიტერატურულ მხარეებზე ბევრს არას ვიტყვით, ვინაიდან მ. მოსაშვილი საინტერესოდ წერს, მაგრამ ალაგ-ალაგ ვხვდებით ისეთ ქუჩურ გამოთქმებს, ჟარგონსა და ენობრივ ლაფსუსებს, რომლებსაც ადგილი არ უნდა ჰქონდეს წიგნში. შეიძლება ავტორი გამოგვეკამათოს, რომ ტრიბუნებზე და მოთამაშეთა შორის ასე ლაპარაკობენ, რომ ეს დამახასიათებელია სპორტის მოყვარულთათვის, მაგრამ, ჯერ ერთი, ეს არაა წიგნში მათი მოყვანის საფუძველი, მეორეც, იაფფასიანს ხდის ავტორის ენას და მესამეც (რაც მთავარია) — კარგის მხრიდან არ აჩვენებს ფართო მკითხველს მათს წარმომთქმელებს.

მაგალითები? ინებეთ: „ბულკები“, „გლიჯა“, „მატაობა“, „პრასტელი“, „მიშკაზე ეგ როგორ იკისრე“, „მიშკას ილინს როგორ ადრი, შე პინგვინო“, „მატაიტობა“, „ოფსილა“ და სხვა მათთანანი. სასიამოვნო მოსასმენია ასეთი გამოთქმები? ვფიქრობთ, არა.

ნარკვევში, რომელიც მ. მესხზეა დაწერილი, აღნიშნულია, რომ: „1955-1958 წლები — მ. მესხი მონაწილეობს საკავშირო პირველობათა კალენდარულ მატჩებში, საერთაშორისო ასპარეზობებში, თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდებში“... საიდან აიღო ავტორმა, რომ მ. მესხი სსრ კავშირის ნაკრებ გუნდში თამაშობდა 1955-58 წლებში? გაუგებარია!

შემდეგ: „სწრაფი ორიენტაცია, ორგინალური დრიბლინგი, შესანიშნავი ცრუ მოძრაობა ზომიერად შეთავსებული მრავალფეროვან ფინტებთან, მოულოდნელი „მოწყვეტილი“ დარტყმები კარში, — აი რით დაიმსახურა მ. მესხმა ჩვენი ქვეყნის მილიონობით სპორტის მოყვარულთა სიყვარული“.

თავი დავანებოთ ამ „მოყვარულთა სიყვარულს“. როგორ შეუთავსა მესხმა ცრუ მოძრაობა მრავალფეროვან ფინტებს, როცა ფინტი და ცრუ მოძრაობა ერთიდაიგივეა. ფინტი — ეს ცრუ მოძრაობაა.

ამგვარი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლებოდა, მაგრამ ეს კიდევ არაფერი. წიგნის მთავარი ნაკლი, მისი ძირითადი ხარვეზია ის, რომ მ. მოსაშვილს იგი დაუწერია ყოვლად თავშეუკავებელი, ყოველგვარ ზომას გადასული ქებისა და ხოტბის სახით. კითხულობ და ფიქრობ, სად მოძებნა ავტორმა ამდენი ეპითეტი, მეტაფორა, ჰიპერბოლა, მხატვრული შედარება და სხვა ლიტერატურული ხერხები, რომ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები გაეზვიადებინა რაღაც ზღაპრულ, სასწაულმოქმედ სპორტსმენებად, რომლებსაც გაცილებით მეტი ზეადამიანური თვისებები გააჩნიათ, ვიდრე „ქუჩუკ-ყარამანიანის“ გმირებს.

აი სწორედ ამ გრძნობებს გაუტაცია იგი, როცა დინამოელებს უძღვნის ისეთ სიტყვებს, როგორითაც ოდესღაც ძველი ბერძნები სწერდნენ თავიანთი ღმერთების — ზევსის, აფროდიტას, აპოლონისა და სხვათა შესახებ.

ბურთის გაჩერება ა. ღოღობერიძის მიერ „სასწაული რამ“ არის. დინამოელები მარგალიტებივით აბნევენ ილეთებს, ქარგავენ ჩუქურთმებს, ზღაპრული ენერგია აქვთ, მინდორზე ქარაშხალს ატრიალებენ, არწივებივით დანავარდობენ, ლეგენდად არიან ქცეულნი, შორსმტვრეველი სარდლებივით მწვრთნელები ჰყავთ, დაფრინავენ, გალიაში დამწყვდეულ ვეფხვებსა ჰგვანან, აფთრებივით სწრაფები არიან, შემმართებელი, უტეხი ხასიათი აქვთ, მოწინააღმდეგის კარს ქვემეხისებური დარტყმების ქარ-წვიმას ატეხენ, ზღაპრული ციხესავით დგანან, ჯადოქრული ხელოვნების პატრონნი არიან, ფრთაცეცხლა ორბებსა ჰგვანან და სხვ.

ყველა ეს შედარება ავტორისეულია და მათ ყოველ გვერდზე ვხვდებით. აი, მაგალითად, როგორ აღწერს იგი მეკარე კოტრიკაძის მიერ აღებულ პენალტს: „...თითქოს აფთარმა სამსხვერალი მოლანდაო, ისე მოსწყდა მიწას სერგო კოტრიკაძე, ჰაერში სამჯერ ამოტრიალდა, ბურთს ზედ კარის ბაზზე მოუსწრო და მძლავრად მოქნეული მარჯვენით მარცხენა ძელის ძირში მიალურსმა“.

ასეთი რა პენალტი დაარტყა ი. გრამატიკოპულომ, რომ მეკარემ ჰაერში სამჯერ ამოტრიალება მოასწრო და მარცხენა ძელის ძირში მიალურსმა. შეიძლება ამ სტრიქონებზე კოტრიკაძემაც ბევრი იცინა, ვინაიდან ყველასათვის კარგად ცნობილია, რომ დაბალ ბურთზე თუ პირდაპირ, უმოკლესი ხაზით არ გადახტი, მას ვერავითარ შემთხვევაში ვერ მიუსწრებ. ასეთ შედარებებს ლექსებშიც კი არ მიმართავენ.

აი როგორ ამთავრებს თავის წიგნს ავტორი:

„რადგან არის საამედო ცვლა!
რადგან ელვაა — მესხი!
რადგან კლდეა უდრეკი — ჩოხელი!
რადგან მუხაა ფესვგადგმული — მელაშვილი!
რადგან გრიგალია აწყვეტილი — იამანიძე!“

და ა. შ.

და ყველაფერმა ამან მკითხველამდე მიაღწია სწორედ მაშინ, როცა გუნდი ერთობ სუსტად თამაშობს, როცა მელაშვილი, იამანიძე და სხვანი მხოლოდ საყვედურის ღირსნი არიან და როცა გუნდში საჭიროა საგანგებო ზომების მიღება მდგომარეობის გამოსასწორებლად.

აი ამ სერიოზულ მომენტში ფეხბურთის მოყვარულთ, გუნდის წევრებს აწვდიან „არწივებს, ვეფხვებს, შეევარდნებს, ჯადოქრებსა და სასწაულმოქმედებს“. ავტორს რომ მეტი ტაქტი და ზომიერების გრძნობა გამოეჩინა, ეს შეუსაბამობაც თავიდან იქნებოდა აცილებული. ასეთი ქება აყოყოჩებს ახალგაზრდა ფეხბურთელებს, აფუჭებს მათ.

მ. მოსაშვილი ერთ ადგილას სწერს, რომ: ჩვენ, გულშემატკივრები ხშირად ზედმეტ აღტაცებაში მოვყავართ შედარებით მდარე მოთამაშის იაფფასიან ილეთებს და მას თავშეუკავებლად ქება-დიდებას ვასხამთ.

კარგი იქნებოდა მას თვითონ არ დავიწყებოდა ეს სიტყვები.

ე. გოგაართელი

არწაადი (გდრ). აქ მოეწყო მოტოციკლისტთა ოთხდღიანი საერთაშორისო შეჯიბრება. პირველი ადგილი დაიკავეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენებმა — 210 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან: საბჭოთა კავშირის (401), ჩეხოსლოვაკიის (407), რუმინეთის (634), უნგრეთისა (862) და პოლონეთის (1202) წარმომადგენლები.

* * *

პრაღა. ჩეხოსლოვაკიის პირველობაზე ფრენბურთში პრაღის „სლავიას“ ვაჟთა გუნდმა დაამარცხა „რუდა ზვეზდა“ ანგარიშით 3:0. „სლავია“ მონაწილეობას მიიღებს უნივერსიადაში, რომელიც უნდა გაიმართოს სოფიაში. გუნდში გამოდიან ეროვნული ნაკრების წევრები: ხუმხალი, სტოლპიეიკი, ფულსილი და ხოური.

* * *

გუდაპეშტი. კრივის ფედერაციამ გამოაქვეყნა სპორტსმენთა სია, რომლებიც უნგრეთის სპორტულ ღირსებას დაიცავენ ბელგრადის ევროპის ჩემპიონატში. ესენი არიან: ფორო, გიულა, ტიოროკი, ბარანი, კაიდი, პალი, შებიოკი, ნემეტი, ჩისარი, ბუდაი და საბო.

* * *

გუჟარესტი. გაიმართა საერთაშორისო შეხვედრა კლასიკურ ჭიდაობაში ბუქარესტისა და ბერლინის ნაკრებ გუნდებს შორის. გამარჯვება მოიპოვეს მასპინძლებმა — 7:1.

გვიანი არასდროს არაა...

ყველაფერი ეს ლონდონში მოხდა: ძლიერმა ტალღამ შეარყია კატერი, 80 წლის ჰედვიგი ალმამ თავი ვერ შეიკავა და ზღვაში ჩავარდა. კატერზე მყოფთაგან ხელის განძრევაც კი ვერ მოასწრეს, რომ ზღვაში გადახტა მსუქანი, თეთრთმიანი ქალი. იგი მიცურდა დაზარალებულთან, მარჯვედ ჩაჰკიდა მას ხელი და კატერიდან გადმოგდებული მაშველი წრისაკენ გასცურა. ორიოდე წუთის შემდეგ ორივე ქალი სასწრაფოდ აიყვანეს კატერზე.

მგზავრები გულწრფელ მადლობას უხდიდნენ გადამრჩენს... 84 წლის იდა კარლსონს.

ემზწავლეკგეა ეკოგის სტუდენტებს

ამას წინათ გაიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტული საქადრაკო სკოლის მოჭადრაკეთა ამბანაგური მატჩი 20 დაფაზე. 5 დაფაზე თამაშობდნენ გოგონები.

უნივერსიტეტის გუნდში თამაშობდნენ საკმაოდ ძლიერი მოჭადრაკეები — ოსტატობის კანდიდატები თ. კიკიანი, გ. მაჭავარიანი, მ. თხელიძე, პირველთანრიგოსანი ვაკები და ქალები ნ. ჯანგველაძე, თ. ჟორჟოლაძე, ს. იგანოვა და სხვები. მიუხედავად ამისა, ნორჩმა მოჭადრაკეებმა შეძლეს ძლიერი გუნდის დამარცხება ანგარიშით 11:9.

თ. ნინოშვილი

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის—თბილისი, „ლენინი“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 01018

რედაქტორი ი. უგულავა.